# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— პარასკევი, 12 მაისი 1900 წ. № 1122

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**
**ტელეფონი № 372.**

## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.
ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს

## სამს პრემიას—150 მ., 100 მ., 75 მ.,

დასაჯილდოვებლად ქართული ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებისა. პრემიის პირობებია შემდეგი:

1) საპრემიოთ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზე დაუდგმელი, დაუბეჭდავი და შეიცავდეს არა-ნაკლებ 4 მოქმედებისა.

**შენიშვნა: პრემია შეიძლება მიეცეს სამ მოქმედებიან პიესასაც მისი განსაკუთრებით სალიტერატურო და სასცენო ღირსებისა გამო.**

2) დრამატ. საზოგ. გამგეობის სახელზე უნდა გამოგზავნოს პიესა რაიმე დევიზის წარწერით და დახურულ. კონვერტი, რომელშიც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილ იქნება ჯილდოს ღირსად.

3) ვადა პიესის გამოგზავნისა დანიშნულია არა უგვიანეს პირველი სექტემბრის, 1900 წ.

4) პრემია მიეცემა მთლად ერთიანად ან და მხოლოდ ერთი ნაწილი.

5) «საზოგადოების» გამგეობას აქვს უპირატესი უფლება,—დაჯილდოვებული პიესა დადგას თავის თეატრში ორი წლის განმავლობაში დღიდან პრემიის მიცემისა; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე სხვას ვისმეს მისცეს წარმოდგენის უფლება, ხოლო ტფილისში პირველ ორ წელიწადს პიესას ვერავინ ვერ წარმოადგენს გამგეობის ნება-დაურთველად.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს ჰონორარად მიეცემა თითო დადგმაზე მთელი შემოსავლის 5 პროცენტი.

**შენიშვნა: სამ-მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.**

7) შედეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში.

ნ. (10—4)

## მთავრობის განკარგულებანი

კავკასიის გზათა ოლქის თერგის განყოფილების მე-5 დისტანციის უფროსის თანამდ. აღმასრულებელს თავ. ანდრონიკაშვილს ებოძა წმ. სტანისლავას მე-3 ხარისხის ორდენი.

თავ. გიორგი ჯავახიშვილი დაინიშნა ტფილისი სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელედ. გუბ. სეკრეტ. ნიკო ისარლიშვილი დაინიშნა ტფილისის სახაზინო პალატაში მინდობილებათა მოხელედ.

ექვთიმე (იგივე ფარნა) ფაფაშვილი დაინიშნა სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან თავისისავე თხოვნით ყვირილის ბოქაულის თანამდებ. აღმასრულებელი ჩარკვიანი.

## ახალი ამბავი

✦ იმერეთის თავად-აზნაურთა არჩევნები ამგვარად დასრულდა: ქუთაისის მაზრის მარშლად ხელახლად არჩეულ იქმნა თავ. დ. ო. ნიჟარაძე (79 თეთრი 3 შავი). კანდიდატად თ. გ. ა. ჩხეიძე, დეპუტატად თავ. ა. გ. ერისთავი; ოზურგეთის მაზრის მარშლად თ. კ. ერისთავი (52 თეთრი 7 შავი). დეპუტატად ერთხმად სილ. ხუნდაძე (56 თ.), კანდიდატად არავინ ალურჩევიათ; შორაპნის მაზრის მარშლად—თავ. ს. დ. წერეთელი—(39 თ. 18 შ.), კანდიდატად თ. ნ. ხიდირბეგიშვილი (37 თ. 15 შ.) დეპუტატად ს. კ. მაჭავარიანი (51 თ. 1 შ.); ლეჩხუმის მაზრის მარშლად—თ. ი. გელოვანი ერთხმად (13 თ.), კანდიდატად თ. ალ. დადეშკელიანი ერთხმად—(13 თეთრი); დეპუტატად—თ. ა. გელოვანი—(13 თ.); სენაკის მაზრის მარშლად—თ. ფ. ჩხეიძე (18 თ. 4 შ); კანდიდატად თ. ნ. ნ. დადიანი, დეპუტატად თ. ივ. დადიანი; ზუგდიდის მაზრაში ნამყოფ მარშალს თ. გ. კ. დადიანს და თ. კ. გ. დადიანს ამოუვიდა ერთნაირი აღმომრჩეველი და არა ამომრჩეველი ხმა, რის გამოც ორთავენი წარდგენილ იქმნებიან უმაღლეს მთავრობასთან დასამტკიცებლად. რაჭის მაზრის მარშლად დ. ნ. ბაქრაძე (12 თ. 1 შ) კანდიდატად დ. გ. კვიტაშვილი (12 თ. 1 შ).; დეპუტატად ერთხმად ს. დ. ჯაფარიძე (13 თ).; კანდიდატად გუბერნიის მდივნის ადგილზე სვ. კვიტაშვილი—ერთხმად. შემდეგ მაზრის არჩევნების დამთავრებისა ქუთაისის მაზრის მარშალმა, თ. ნიჟარაძემ, დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი და ითხოვა საზოგადოებამ დაასახელოს კანდიდატები გუბერნიის მარშლის ადგილზე, გუბერნიის მდივნის და მისი თანაშემწის ადგილზე, სათავად-აზნაურო ბანკში წარმომადგენელთა ორ ადგილზე. სურვილი არის გამოცხადებული გუბერნიის მარშლის ადგილზე იყაროს კენჭი კამერგერმა მისის უდიდებულესობისამ თავ. სვ. წერეთელმა. საზოგადოებაში გაისმის დიდის უმრავლესობის ერთხმივი: „ვსთხოვთ თ. სვ. წერეთელს დარჩეს, ერთხმადა ვსთხოვთ, უკენჭოდ“.

**თავ. დ. ნიჟარაძე.** სხვა არავინ გნებავთ? (სიჩუმეა) სხვა არავინ გნებავთ, ბატონებო, მაშ?

**დ. ნ. ბაქრაძე.** გთხოვთ დამიდგათ მე ყუთი . . . .

**თავ. დ. ნიჟარაძე** (თავმჯდომ.). გთხოვთ წესიერება დაიცვათ.

კენჭის ყრა იწყება. $5\frac{1}{2}$ საათზე დაიწყეს თვლა. თ. სვ. წერეთელს ამოუვიდა 199 თეთრი და 37 შავი, ხოლო დ. ნ. ბაქრაძეს 74 თეთრი 160 შავი.

**თავ. დ. ნიჟარაძე.** გუბერნიის მარშლად არჩეულ იქმნა თავ. სვიმონ წერეთელი.

საზოგადოებაში ასტყდა აღტაცებული ტაშის ცემა და ყვირილი. თავ. ს. წერეთელი გამოვიდა თუ არა, ტაშის ცემამ იმატა და ლოჟებიდან ყვავილები გადმოცვივდა. ერთმა მანდილოსანმა, კნ. ელ. გურიელისამ, მიართვა მშვენიერი თაიგული და გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა.

**თავ. სვ. წერეთელი** (აღელვებული). ბატონებო, ჩემს ენას არ ძალუძს იმ სიხარულისა და იმ აღტაცების გამოხატვა, რომლითაც აღსავსეა ჩემი გული.

ეს მეხუთეჯერ მირჩევთ, ბატონებო, და, მართლა, მე ჩემის სვინიდისის წინაშე არავითარს დანაშაულს არა ვგრძნობ და რამდენადაც ჩემის მცირე ძალღონისათვის

შესაძლო იყო, მე თქვენგან მონდობილი მოვალეობა წმინდად აღმისრულებია. მაგრამ მე მაინც ღირსად არ მიმაჩნია ჩემი თავი ამდენის თქვენის გულკეთილობისა. მით უფრო საბედნიეროა ჩემთვის თქვენი ასეთი ყურადღება, რომ ყველამ კარგად იცის—მე ჩემის არჩევნებისათვის არასოდეს თითიც არ გამინძრევია, არავისათვის არა მითხოვია-რა. ჩემდამი ასეთს ყურადღებაში მე ვხედავ მხოლოდ გამარჯვებას იმ მიმდინარეობისას ჩვენს საზოგადოებაში, რომელსაც ყველა ჩვენ ვემსახურებით და ამიტომაც ვარ ორნაირად აღტაცებული და გაბედნიერებული.

დეპუტატთა საკრებულოს მდივნად აღრჩეულ იქმნა სვ. მერაბის ძე კვიტაშვილი (203 თ. 35 შ.)

დეპუტატებათ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში არჩეულ იქმნენ. თ. გ. წერეთელი და თ. გ. ჩიჩუა, დეპუტატთა საკრებულოს მდივნის თანაშემწედ ბ-ნი ილ. მაჭავარიანი.

✦ მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედდინი ხვალ, 13 მაისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზით ტფილისში მობრძანდება და სამშაბათს, 16 მაისს, გაემგზავრება საქართველოს სამხედრო გზით რუსეთში. რკინის გზის სადგურზე მიეგებებიან: კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსნი, ტფილისის ქალაქის მოურავი, ტფილისის გამგეობის წევრნი და სხვანი. მეორე დღეს სასახლეში შაჰს წარუდგებიან ქალაქის გამგეობა, ხმოსნები, ტფილისის გამოჩენილი მოქალაქენი და ვაჭრები. სამ ღამეს სასახლის წინ და სხვა ადგილებში იქნება გამართული ჩირაღდანი და მისაგებებელი კამარები. შაჰს ჰსურს დაათვალიეროს სპარსელების უბანი და აქაური აბანო.

✦ „ტფ. ფურცელს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ მაისში ამიერ-კავკასიაში ჩამოვა გზათა მინისტრი თავ. მ. ი. ხილკოვი. მინისტრი ჩამოვა ფოთში 16 მაისს და 17-ს—ტფილისში.

✦ კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის შუამდგომლობით, ახალქალაქის, გორის და დუშეთის მაზრების მცხოვრებთ უმაღლესად მიეცემა სესხად 30 ათასი მანათი მინდვრებისა და ყანების დასათესად. სესხი უნდა დაუბრუნდეს ხაზინას ნაწილ-ნაწილ 5 წლის განმავლობაში, პირველ 3 წელიწადს უსარგებლოდ, დანარჩენ ორ წელიწადს 3%.

✦ 20 მაისს მოხდება სხდომა კავკასიის სატეხნიკო საზოგადოებისა, რომელზედაც განიხილება კითხვა ტფილისში უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

✦ მკითხველებმა უწყიან, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ამას წინად შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მიეცეს მას ნება 1901 წელს ქ. ტფილისში გამართოს კავკასიის სამეურნეო გამოფენა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის შესრულების აღსანიშნელად. ამ ჟამად მთავარ-მართებელი აცნობებს საზოგადოებას, რომ, რადგანაც იმავე 1901 წელს ტფილისში გამოფენის მოწყობის ნება-რთვა უკვე აიღო საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამო, სამიწად-მოქმედო და ფინანსთა მინისტრებმა აღარ სცნეს საჭიროდ კიდევ სამეურნეო გამოფენის მოხდენაო და ურჩევენ სამეურნეო საზოგადოებას მიეკედლოს საბაღოსნო საზოგადოებას და მასთან ერთად გამართოს გამოფენა.

✦ ეს მესამე დღეა შესწყდა წესიერი მიმოსვლა ტფილისთან სამივე მხრით—ბათუმიდან, ბაქოდან და კავკავიდანაც. სწორედ იმ დღეებში, როდესაც ტფილისში საშინელი ქარი ჰქროდა, დიდი წვიმა ყოფილა ბაქოსკენ, ბათუმისკენ და საქართველოს სამხედრო გზაზედაც. ბაქოსკენ ნიაღვარს წაულეკია ლიანდაგი სადგურ ალიატის შემდეგ რამდენიმე ვერსის მანძილზე; გზა სრულიად გაფუჭებულია მე-722, 723, 726, 727 და 728 ვერსზე. ამიტომ მატარებლების მიმოსვლა ბაქოსაკენ სრულიად შესწყდა. ბათუმისაკენ გზა გაფუჭებულია მოლითისა და მარელისის შუა. მე-156 ვერსზე, სადგურ მარელისის ახლო ჩამოწოლილა ქვის ზვავი. უფრო დაზიანებულა გზა პეტროვსკისაკენ: როგორც იწერებიან, რკინის გზის ხიდი მდ. სამურზე სრულიად წაუღია ადიდებულ მდინარეს. ბაქოსა და პეტროვსკის შუა მიმოსვლა დიდის ხნით შესწყდება. სამხედრო გზაზე ქვის ზვავი ჩამოწოლილა სადგურებ ლარსისა და ყაზბეგის შუა და აგრეთვე ლარსისა და ბალთას შუა. თვით კავკავის ახლოც ჩამოვარდნილა მიწის ზვავი. რუსეთიდან მომავალი ფოსტა ლარსში შეჩერდა, აქედან რუსეთში გაგზავნილი—ყაზბეგში.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკვე წარუდგინა ქალაქის სამხედრო ბეგრის მმართველობას სია იმ ყმაწვილ კაცებისა—ტფილისელებისა, რომელნიც წელს იქმნებიან მიწვეულნი სამხედრო ბეგრის აღსასრულებლად.

✦ ტფილისში ახლად დაარსებულს საკომერციო სასწავლებელში მიუღიათ: მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში—101 ბავშვი, უმცროს განყოფილებაში—132 და პირველ კლასში—77; სულ—310 ყმაწვილი; ამათგან მიღებულია ქართველი: უმცროს განყოფილებაში—8, უფროს განყოფილებაში—14 და 1-ლ კლასში—3, სულ კი 25 ყმაწვილი.

✦ გუშინ-წინ, 10 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატის მე-2 სამოქალაქო დეპარტამენტმა განიხილა თ. ნ. ზ. ბარათაშვილისა და ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის საქმე. მკითხველებმა უკვე უწყიან ეს საქმე: თ. ბარათაშვილი ბანკს უჩიოდა, არ მიმიწვიეს ბანკის გამგეობის წევრის თანამდებობის აღმასრულებლად 1897 წლის 1 ივნისიდან, როდესაც, წინანდელის წევრის თ. ავალიშვილის გარდაცვალების გამო, ასეთი თანამდებობა განთავისუფლდა და სხვა მიიწვიეს, თუმცა კანონით მე უნდა მოვეწვიეთო. მკითხველებს ეხსომებათ ისიც, რომ ოლქის სასამართლომ კანონიერად იცნო თ. ბარათაშვილის საჩივარი. 10 მაისს სამოსამართლო პალატამ, განიხილა რა ეს საქმე, განაჩენის გამოცხადება გადასდო 24 მაისისათვის („ივ.“).

✦ ტფილისის საბადოსნო სკოლაში, მესამე სპეციალურ კლასში, ეგზამენები საზოგადო საგნებისა დაიწყება 22 მაისს და დასრულდება 30-ს; ხოლო სპეციალურ ბუნების მეტყველების საგნებში გამოცდა დანიშნულია ოქტომბერში; მაშინ მოხდება აგრეთვე ეგზამენები ყველა კლასებში.

## იმერეთის თავად-აზნაურთა კრება

(7 მაისი).

კრება გაიხსნა 10 საათზედ. წაკითხულ იქმნა ოქმი 6 მაისის სხდომისა.

**თ. კირ. ლორთქიფანიძე.** ოქმში არ არის შეტანილი ის აზრი, რომელიც აქ გამოვსთქვი შესახებ გარდასახადის განაწილებისა შემოსავალის კვალობაზედ, იმ გარდასახადისა, რომელიც უნდა გავიწეროთ ჩვენს თავზედ დეპუტატთა საკრებულოს მოსამსახურეთა ჯამაგირის მოსამატებლად. საჭიროა, ეს შეიტანონ ოქმში, საჭიროა აგრეთვე შეტანილ იქმნეს ოქმში აზრი ბ. ი. დუმბაძისა შესახებ სათავად-აზნაურო შენობისა. შეტანილ უნდა იქმნეს ოქმში ჩემი აზრი იმის შესახებ, რომ, მე მგონია, მაგ სახლის აშენება შეგვიძლიან, ბანკიდან დაბრუნებულის თანხიდან თუ ვისესხებთ ფულს.

**თ. სვ. წერეთელი** (გუბერნიის მარშალი, თავმჯდომარე კრებისა) იმ ფულების შესახებ, რომელიც ბანკიდან უნდა დაგვიბრუნდეს, კომისსია გვყავს ამორჩეული; იმ კომისსიის აზრს მოგახსენებთ და მაშინ გამოსთქვით თქვენი აზრი.

**ბ. მ. დარახველიძე.** გთხოვთ შეიტანოთ ჩემი პროტესტი ოქმში იმის შესახებ, რომ გუშინდელი გარდაწყვეტილება კრებისა სათავად-აზნაურო გარდასახადის გამოცემის შესახებ უკანონოდ არის გარდაწყვეტილი, რადგან უკენჭოდ გარდასწყდა. 3 ათასი მანეთი გვქონდა გაწერილი; ეხლა 11 ათასი გავიწერეთ. ეს მეტად მძიმე საგანია, და ასე ადვილად გარდაწყვეტა არ შესაძლოა. მე პირველი ვარ ამის წინააღმდეგი.

თავმჯდომარე კრებისა **თ. სვ. წერეთელი.** ეს საგანი გუშინ გარდასწყდა ერთხმად. დღეს ამის ხელ ახლა განხილვა არ შეიძლება. გაისმის პროტესტი მ. დარახველიძის და სპ. ლეჟავასი.

**თ. კირ. ლორთქიფანიძე.** გუშინ, ბატონებო, ეგ საგანი ერთხმად გარდასწყდა დღეს ისეთები აცხადებენ პროტესტს, რომელნიც გუშინ ჩუმად იყვნენ და ან აქ არ ბრძანებულან, მხოლოდ ერთი სპირიდონ ლეჟავა იყო წინააღმდეგი. ჩავსწეროთ ოქმში, რომ მთელმა კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა ეს საგანი, გარდა სპირიდონ ლეჟავასი.

**თ. ან. ერისთავი.** ბატონებო, თქვენ უცნაური საგანი გარდასწყვიტეთ. მე რომ ეგ მცოდნოდა, სწორედ გამიჭირდებოდა იმ მოხსენების წაკითხვა, რომელიც ვალად დამადვეს. ერთის მხრით, ხარჯს ვიწერთ და ვიმატებთ, მეორეს მხრით, ვთხოულობთ მოგვიკლონ სახელმწიფო ბეგარა. სახელმწიფო ბეგარას კი სახელმწიფოს თვალში დიდი მნიშვნელობა აქვს, ბევრად უფრო დიდი, ვიდრე ეგრეთი კერძო გარდასახადები, რომელიც ეხლა ჩვენ გავიწერეთ.

**დ. ლოლუა.** მე მგონია, ამ საგანს ჯერ არ განვიხილავთ, თორემ მე სრულიად წინააღმდეგი აზრისა ვარ, და არავითარი უთანხმოება არ არსებობს იმაში, რომ ჩვენ, ერთის მხრით, ხარჯი მოვიმატეთ დეპუტატთა საკრებულოს უკეთ მოწყობისათვის, და მეორეს მხრით, ვთხოულობთ ბეგარის შემცირებას.

თ. ზ. თუმანიშვილი. მე, ბატონებო, იმ კომისსიის წევერი ვარ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეედგინა უქვეშევრდომილესი მოხსენება შესახებ სახელმწიფო ბეგარის შემცირებისა და მე ჩემის კოლლეგის, თ. ან. ერისთავის, წინაალმდეგ ვფიქრობ, რომ ჩვენ ორ გარდაწყვეტილებაში არავითარი უთანხმოება არ არსებობს.

თ. ა. ერისთავი კითხულობს ვრცელს მოხსენებას შესახებ ბეგარის შემცირებისა, რომელიც უნდა წარიგზავნოს ჯეროვანის წესით უმაღლესს მთავრობასთან. ეს მოხსენება შედგენილია თავად პავლ. თუმანიშვილის, თ. ანდ. ერისთავისა და თ. ალ. ქოჩაქიძისაგან ტფილისის თავად-აზნაურთა ამხაგნის შესახებ მოხსენების დაგვარად.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**10 მაისი**

**მოსკოვი**. მოსკოვში ყოფნის დროს მათი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ მოსკოვის სათავად-აზნაურო კლუბში. ამ ამბის სამახსოვროდ მოსკოვის თავად-აზნაურობა გამოსცემს 2000 ქეტონს იმათთვის დასარიგებლად, ვინც კლუბში იყო მათი უდიდებულესობათა მისვლის დროს.

**კრონშტადტი** (რუსეთში). გერმანიის გემი „ლაპლანდი“ დაეჯახა ქვებს სომმერას კუნძულთან. გემის ნაწილი წყლის ქვეშაა. მისაშველებლად გაიგზავნა გემები.

**ჩერნიგოვი**. აქ მოვიდა გზათა მინისტრი და გემით წავიდა კიევს.

**ლონდონი**. პრეტორიიდან იტყობინებიან 19 მაისს, რომ ტრანსვაალის მთავრობა არ ჰფიქრობს დამორჩილებას და გადაუწყვეტია ბოლომდე იბრძოლოს.

კრონშტადტიდან იუწყებიან, რომ ინგლისის ქვეითა ჯარი წინ მიდისო. ჯარების უმთავრესი შტაბი გადაყვანილ იქნება შემდეგ ქალაქში. ჯარები მხნედ არიან. ავადმყოფთა რიცხვიც შემცირდა.

რკინის გზით მიმოსვლა დაიწყო ისევ. ბურებმა გადასწყვიტეს ბრძოლის განგრძობა და მათი ჯარები ბანაკდებიან მდინარე რენოსტერზე. მათ აქვთ ზარბაზნები, რომელთა შორის რამდენიმე ას გირვანქიანი; აქვთ აგრეთვე რამდენიმე ზარბაზანი კრეზოს ქარხნისა. ტრანსვაალელი ბურები კვეხულობენ, დავამარცხებთ ინგლისელებსაო.

ლორენცო-მარკეზიდან 22 მაისს იტყობინებიან, რომ კრიუგერმა თავისი ქონება თავის მეგობრების სახელზე გადიტანა იმ შემთხვევისთვის, თუ ინგლისელებმა დაუპირეს წართმევა მისი კერძო საკუთრებისა.

ბულლერი აცხადებს, რომ ტრანსვაალიდან ორანჟეს რესპუბლიკაში გადვიდა ბურების ახალი რაზმი და დაიპყრა ქალაქი ლეიკონეკი.

**ლონდონი**. რობერტსი იტყობინება გონინგესპრუიტიდან, რომ მეფკინგის განთავისუფლების დროს ბურები ძლიერ იყვნენ დამარცხებულნიო. ინგლისელების მხრით კი მოკლული იყო 3 კაცი და დაჭრილი 22. მეფკინგის მცველი რაზმი შეუერთდა მოსაშველებლად მოსულს ჯარს და შეერთებულის ძალით ინგლისელებმა იერიში მიიტანეს ბურების უმთავრეს ბანაკზე; მალე უკუ აგდეს მტერი და კინაღამ ტყვედ წაიყვანეს ბურების სარდალი სნეიმანი. ინგლისელებმა წაართვეს ბურებს ერთი ზარბაზანი და ბევრი სამხედრო მასალა. ბანაკში იპოვეს 5 მოკლული და 15 დაჭრილი ბური. მტერი უკან იწევს; მხოლოდ ერთი რაზმი სდგას კიდევ მეფკინგთან, რომელიც, როგორც სჩანს, იფარავს უკან დაწეულ ჯარს ინგლისელთა თავდასხმისაგან და დევნისაგან. შემდეგ რობერტსი იტყობინება კიდევ, რომ გამილტონი მივიდა გეილბრონს მის მერმე, როდესაც დევეტს შეებრძოლა და უკან დააწევინა. ბროდვუდმა წაართვა ბურებს 15 ფურგონი. გამილტონმა დაჰკარგა 75 კაცი.

ნიუ-კესტლიდან იტყობინებიან, რომ რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა კვლავ დაიწყო. ნიუ-კესტლში ბურების წასვლის შემდეგ შესდგა საქალაქო სადარაჯო რაზმები. ნიუ-კესტლში მოსული ფერმერი ამბობს, რომ ლენგენეკთან მდგომ ჯარს მამშველი ჯარი მოსვლია და ამ ჟამად იქ 5000 ბური სდგასო, მაგრამ საეჭვოა, რომ მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისელთაო.

**ლონდონი**. გაზეთები აცხადებენ, რომ მაკ-კინლეიმ ისეთი პასუხი მისცა ბურების დესპანთ, როგორსაც მოელოდნენ ინგლისელნი მეგობარ ერის წარმომადგენლისაგანო.

უკანასკნელ გამოანგარიშებით ინგლისის ჯარმა 19 მაისამდე სულ დაჰკარგა 26.614 კაცი; ამ რიცხვში არ არის ჩათვლილი მრავალი ავადმყოფი.

**პარიზი**. ლუბე და დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ერთმანეთთან იყვნენ სადარბაზოდ.

**ნიუ-იორკი**. დაკითხვაზე—მართლა თხოულობს თუ არა მშვიდობიანობის ჩამოგდებას ტრანსვაალიო—კრიუგერი დეპეშით აუწყებს გაზეთ „World“-ს, რომ ცნობა მშვიდობიანობის შესახებ ტყუილიაო.

**11 მაისი.**

**პეტერბურგი**. სამხედრო მინისტრი სამსახურის საქმეებისთვის რამდენიმე ხნით პეტერბურგიდან წავიდა. მისი თანამდებობის ასრულება, უმაღლესის ბრძანებით, დაევალა უმთავრესს შტაბის უფროს გენ.-ლეიტ. სახაროვს.

**კონსტანტინეპოლი**. ელჩების კრებამ, ოსმალეთ - საბერძნეთის უთანხმოების გამო შეგროვილმა, დაადგინა მოსთხოვოს სახელმწიფოებს შესაფერი ინსტრუქციები.

ამერიკის რწმუნებულმა წარუდგინა ოსმალეთის მთავრობას ნოტა, რომელშიაც თხოულობს მალე იქმნას დასრულებული კითხვა ამერიკისთვის ზარალის გადახდის შესახებ,—იმ ზარალის, რომელიც მიაყენეს ამერიკელ მისსიონერთ სომხების არეულობის დროსაო.

**გონინგსპრუიტი**. ფრენჩი გადავიდა მდ. რენოსტერის იქეთა ნაპირას გონინგსპრუიტიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ. ეს მოძრაობა აღარ მისცემს შეძლებას ბურებს დარჩნენ ეხლანდელ პოზიციაზე. უკანასკნელი ცნობები ამბობენ, რომ მტერმა ყოველი ღონე იღონა წინააღმდეგობის აღმოჩენისათვის.

**კიმბერლეი**. ჩამოვიდა მეფკინგის მცხოვრები, რომელმაც ამბავი მოიტანა — გზა თავისუფალიაო. ფრეიბურგის 800 მეამბოხემ იარაღი დაჰყარა; ზოგი მათგანი ტრანსვაალში გაიქცა. ფრეიბურგში მძვინვარებს ციებ-ცხელება.

**კაპშტადტი**. უორენმა დაიჭირა დუგლასი. მეამბოხეთა ბანაკში ინგლისელებმა იპოვეს დიდ-ძალი სურსათ-სანოვაგე.

**პეკინი**. დიპლომატთა კორპუსმა მიჰმართა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ნოტით, რომელშიაც ურჩევს დაამშვიდოს უცხოელთა წინააღმდეგ აღელვებული „დი-ი მუშტის“ პარტია. ნოტა ამბობს, რომ, თუ ჩინეთის მთავრობამ ვერ შესძლო მეამბოხეთა დაწყნარება, უცხოელი ელჩები კვლავ მოიწვევენ პეკინში თავისს ჯარებსო.

**პეტერბურგის ბირჟა 10 მაისს.**

| | მყიდველი | გამყიდველი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ა | თ ი |
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 98⁵/₈ |
| 4¹/₂°/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 100³/₄ | — |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 98¹/₂ | — | — |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 308¹/₂ |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 266 |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 208 |
| 3¹/₂°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | 91¹/₄ | — | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| 4¹/₂°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | 90 | — |
| ქუთ. საადგ. - მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | 102 | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 99 | — |
| 5°/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| 4¹/₂°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | — 8¹/₂ | |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორჯოი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფქვილისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. | |
| » » | II | » | » | » 3¹/₂ | » | |
| » » | III | » | » | » 3 | » | |
| იგივე თორნისა | I | » | » | » 5 | » | |
| » » | II | » | » | » 4 | » | |
| » » | III | » | » | » 3¹/₂ | » | |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | » 6 | » | |
| » » | II | » | » | » 4 | » | |

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | | კოკზალზე, | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |

| | | |
|---|---|---|
| კომბოსტო. . . . | 1 — 60 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 — 60 | —— |
| ხავსვი . . . . . | 1 — 50 | —— |
| თივა . . . . . . | 1 — 60 | —— |
| ბზე . . . . . . | 1 — 28 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ზადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხ. | | ხარისხ. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

ხიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4.** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ეომ9 წ. საღ.

**ფოთიდან** მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის დს.ი 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. 6 ღსით

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის— 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობიშ: მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

---


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . . | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . . . | «—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი . . . . . . . | «—70 |
| იგივე II ტომი . . . . . . | «—60 |
| იგივე III ტომი . . . . . . | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) . . . | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . . | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი . . . . . | «—60 |
| იგივე II ტომი . . . . . | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი . . . | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა . . . | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი . . | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა . . . . . | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით . . | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა . | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . | 1—50 |
| რძე მისივე . . . . . . . . | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა . . . . . . . | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . . . . | «—80 |
| დასტურ-ლამა . . . . . . . . | «—10 |

ვინც გაიწერს წაგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება . . . . . . . . | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი. . . . . | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | . 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . . | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . | 30 „ |
| იგდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. გ. ჟუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Мая, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.